

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2015 წლის 20 მარტის
დადგენილება № 1461

აკადემიური დეპარტამენტის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს აკადემიური დეპარტამენტის დებულება და აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელობის საკითხი დანართში წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი 1, 2).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

აკადემიური საბჭოს მდივანი

ა. ფრანგიშვილი

გ. სალუქვაძე

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური დეპარტამენტის დებულება**

მუხლი 1. დეპარტამენტის სტატუსი

1.1. აკადემიური დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) წარმოადგენს ფაკულტეტის ძირითად სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც მოდულების, აგრეთვე საბაკალავრო საგანათლებლო პროგრამის მოკლე ციკლის ფარგლებში უზრუნველყოფს სასწავლო, მეთოდურ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

1.2. დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სტუ-ს წესდებით და შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

მუხლი 2. დეპარტამენტის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

2.1. დეპარტამენტის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

ა) უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებით დეპარტამენტისათვის განსაზღვრულ საგნებში სილაბუსებისა და განრიგის შესაბამისად მეცადინეობების ჩატარებას.

ბ) ქმნის ან/და მონაწილეობს ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნაში და არსებული პროგრამების მოდიფიცირებაში;

გ) ახორციელებს სასწავლო პროცესის მეთოდურ უზრუნველყოფას (სახელმძღვანელოების და სხვა სასწავლო-მეთოდური მასალის მომზადება), ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას;

დ) ახდენს დეპარტამენტის აკადემიური დატვირთვის ფორმირებას და ადმინისტრირებას;

ე) დეკანის წინაშე ინიცირებას უკეთებს პედაგოგების (მონვეული პროფესორები და მასწავლებლები) მონვევას სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით, ვაკანტური აკადემიური დატვირთვის არსებობის შემთხვევაში;

ვ) უზრუნველყოფს სწავლების არსებული მეთოდების ეფექტურად გამოყენების გზით სწავლების ხარისხის ამაღლებას, სწავლების ახალი მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვას, სასწავლო პროცესის სრულყოფას;

ზ) ორგანიზაციას უწევს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;

თ) ახორციელებს მაგისტრანტების და დოქტორანტების თემებით და ხელმძღვანელებით უზრუნველყოფას;

ი) ხელს უწყობს სასწავლო-პედაგოგიური კადრების მომზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას;

კ) დეპარტამენტის პროფილის შესაბამისად ამყარებს შემოქმედებით კავშირებს და თანამშრომლობს სხვა უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებთან და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან;

ლ) ახორციელებს სამეცნიერო კვლევებს, ატარებს სამეცნიერო-მეთოდურ სემინარებს, იძლევა ექსპერტულ დასკვნებს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე და პროექტებზე;

მ) ახორციელებს სამაგისტრო საკვალიფიკაციო და სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომების რეცენზირებას;

ნ) საკუთარი პროფილის შესაბამისად თანამშრომლობს საწარმოებთან და ორგანიზაციებთან და ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა შრომით დასაქმებას.

2.2. აკადემიური საბჭოს გადანაცვებით, შეიძლება შეიქმნას დეპარტამენტი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფილიდან გამომდინარე, ერთდროულად დაექვემდებარება ერთზე მეტ ფაკულტეტს.

მუხლი 3. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად.

დანართი 2

აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელობა

მუხლი 1. აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელობა

1.1. აკადემიურ დეპარტამენტს (შემდგომში - დეპარტამენტი) ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი, რომელიც, როგორც წესი, არის პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი.

1.2. დეპარტამენტის უფროსი:

ა) დეპარტამენტის უფროსი ინიშნება 4 წლის ვადით;

ბ) დეპარტამენტის უფროსს ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი;

გ) დეკანის, ფაკულტეტის საბჭოს, საინიციატივო ჯგუფის წარდგინების ან/და პირადი განცხადების საფუძველზე აკადემიური საბჭო ისმენს თითოეული კანდიდატის მიერ დეპარტამენტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას და ფარული კენჭისყრის საფუძველზე რექტორს დასანიშნად წარუდგენს კანდიდატს;

დ) დეპარტამენტის უფროსი არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მყოფი პირი;

ე) დეპარტამენტის უფროსის არ ყოფნის შემთხვევაში რექტორის ბრძანებით ინიშნება მისი მოვალეობის შემსრულებელი.

1.3. დეპარტამენტის უფროსის გათავისუფლების საფუძველია აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილება.

